ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 26-38

"9" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №20-121 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsNe.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 29/12/2022, სარეგისტრაციო კოდი 280120000.35.101.017059) და დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „შინმოვლის თანადაფინანსების" (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №7) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბართელის კითხვარის შევსების ღირებულება არის 9 (ცხრა) ლარი.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე